კორონავირუსი COVID-19

გაზეთ „ალიონს“ ესაუბრა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის გურიის განყოფილების უფროსი **არჩილ მჟავია.**

– 2019 წლის დეკემბერში ვირუსი აღმოაჩინეს ჩინეთის 11 მილიონიან პროვინციის უხანის ცენტრში ხუბეიში. ახალი წლის პერიოდში ოცდაშვიდმა დაავადებულმა საავადმყოფოს დასახმარებლად მიმართა. 5 იანვრისთვის დაავადებულთა რაოდენობა 59-მდე გაიზარდა. დაავადების გავრცელების კერად, აღმოჩენისთანავე ადგილობრივი ბაზარი დასახელეს, სადაც საქონლის ხორცთან ერთად ეგზოტიკური ზღვის პროდუქტებით ვაჭრობდნენ. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ქალაქში გადაადგილება არ შეუზღუდავთ, რადგან ქალაქის ადმინისტრაცია არ ელოდა მასშტაბურ ეპიდემიას, მათ განაცხადეს, რომ ვირუსი აირ-წვეთოვანი გზით არ ვრცელდებოდა. ამის შემდეგ, დაავადებულთა რაოდენობა საგრძნობ-ლად გაიზარდა, ისევე როგორც ვირუსის გავრცელების არეალი. გარდა ჩინეთის დიდი ქალაქებისა, როგორიც არის შანხაი და ბეიჯინგი, ვირუსმა ტაილანდი, იაპონია, სამხრეთ კორეა და ამერიკის შეერთებული შტატებიც მოიცვა. აღსანიშნავია, რომ ინფიცირებულთა და გარდაცვ-ლილთა დიდი ნაწილი ჩინეთზე მოდის, მაგრამ, ამჯერად, ეპიდემია ძლიერად იფეთქა სამხრეთ კორეაში, ირანსა და იტალიაში. დღეს კი დაავადება მსოფლიო 150 ქვეყანაშია დაფიქსირებული. ჩინელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ დაავადების მიზეზი გახდა უკვე ცნობილი კორონოვირუსი. აღმოჩნდა, რომ ახალ ვირუსს 2019 წლის კორ-ონოვირუსის მსგავსი აგებულება აქვს და

▶▶▶ გვ-2

გახდი მოხალისე - შეაჩერე ვირუსის გავრცელება!

გურიის რეგიონის მასშტაბით ვიწყებთ მოხალისეების მობილიზებას. დავეხმაროთ ჩვენს მოქალაქეებს, ახლობლებს ორგანიზებულად და უსაფრთხოების წესების დაცვით!

თუ ხართ 100% ჯანმრთელი, სრულწლოვანი და სურვილი გაქვთ საქმით გამოადგეთ რეგიონს და თქვენს მუნიციპალიტეტს, მაშინ შეავსე მითითებულ ლინკზე განაცხადის ფორმა: ??
https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSf8oLwDO-1Px6laKAOyBb_oOQfNH8l3r77-LHPJ4lsiN_eUmQ/viewform
პირველ ეტაპზე ძირითადი საქმე იქნება ხანდაზმულებისათვის პროდუქტის და მედიკამენტების საცხოვრებელ სახლში მიტანა.

დამატებითი ინფორმაციისა და კითხვების შემთხვევაში დარეკეთ მითითებულ ნომერზე:
599 77 73 11 - ლანა ლომაძე.

ჯანდაცვის სამინისტროს და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები გავხადოთ აღსრულებადი და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს! გისურვებთ ჯანმრთელობას!

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 12 (10348) 23 მარტი, 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

შეხვედრა სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან

ალიონი. გასულ ხუთშაბათს გურიის სახელმწიფო რწმუნებული **ზურაბ ნასარაია,** რეგიონის სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე იმსჯელეს. ასევე, ისაუბრეს რეგიონში არსებული სამედიცინო დაწესებულებების მზაობაზე.

„ ვფლობთ სრულად ინფორმაციას თუ რა რესურსი გაგვაჩნია და ეს რესურსი საჭიროების შემთხვევაში იქნება გამოყენებული. გურიაში სიტუაცია არის კონტროლირებადი და ყველა უწყება მუშაობს ძალიან ეფექტურად“- განაცხადა ზურაბ ნასარაიამ.

შეხვედრას რწმუნებულის მოადგილეები აკაკი შენგელია, ქეთევან მოისწრაფეშვილი, გია ებრალიძე და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გურიის განყოფილების ხელმძღვანელი არჩილ მჟავია დაესწრნენ.

„თუკი მთავრობა ჩვენ მოგვიწოდებს, ვისხდეთ სახლებში, ამ კარიერების მეპატრონეებზე არ ვრცელდება ეს მოთხოვნა?“

გასულ პარასკევს სოფლებში - ლიხაურში, მელექედურში, სილაურში მოსახლეობამ მორიგი საპროტესტო აქციები გამართა

ალიონი. გასულ პარასკევს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ლიხაურში, მელექედურსა და სილაურში მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები გაიმართა ინერტული მასალების მომპოვებელთა წინააღმდეგ.

კარგა ხანია მიმდინარეობს დავა მდინარე აჭისწყლის ხეობაში ინერტული მასალის მომპოვებელ კომპანია „კავკაზ ცემენტ ჯორჯიასა“ და ლიხაურის მოსახლეობას შორის.

გასულ პარასკევს 50-მდე ადგილობრივი იყო გამოსული საპროტესტო აქციაზე.

– ძალიან უპასუხისმგებლოდ იქცევა ეს კომპანია. არაერთი მოლაპარაკება, საპროტესტო აქცია ამათზე არ მოქმედებს. ამათ გარდა, კიდევ რამდენიმე კომპანია და ინდმეწარმეა, რომლებიც წიაღის ეროვნული სააგენტოს ლიცენზიებს ფლობენ და შარშან შევაჩერებინეთ მუშაობა. რა გამოდის? ესენი მუშაობენ, ხვალ ისინიც შემოვლენ ამ ჭალაში და გაავრძელებენ მდინარის აუზის აოხრებას, – ამბობდა აქციაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის თანაშემწე **ნანა წითლიძე.**

– ჩვენ ვასრულებთ მთავრობის მოწოდებას და ერთი კვირაა დღედაღამ ვსხედვართ სახლებში. ესენი კი მუშაობენ და ქვა-ღორღის

▶▶▶ გვ-2

მკითხველთა საყურადღებოდ!

კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების ხელშეწყობის მიზნით, დროებით ვწყვეტთ გაზეთის გამოშვებას. იმუშავებს მხოლოდ გაზეთის ვებ და ფეისბუკ გვერდები. (alion.ge; გაზეთი ალიონი)

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

კორონავირუსი COVID-19

ანალოგიურად მოქმედებს, რაც მნიშნელოვან როლს შეასრულებს მის განკურნებაში. ასევე გვაცნობებენ, რომ ეს ვირუსი შედარებით მსუბუქი ნიშნებით ხასიათდება როგორც ინფიცირების, ასევე სიმპტომების სიმძიმის მიხედვით და სიკვდილიანობის კოე-ფიციენტით. აგებულ-ების მსგავსებამ მეცნიერებს მისცა საშუალება, ევარაუდათ, რომ გავრცელების წყარო ღამურა გახდა, მრავალი კორონოვირუსი მატარებელი, რის შედეგადაც ერთ-ერთმა დაავადებამ მუტაცია განიცდა და გადაეცა ადამიანს.

კორონავირუსი აინფიცირებს როგორც ადამიანებს, ისე ცხოველებს და იწვევს სასუნთქი გზების დაავადებებს. კორონავირუსის სულ მცირე ოთხი ტიპი ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში ძალიან მსუბუქ ინფექციებს იწვევს, მაგალითად, გაციებას. ცხოვრების გარკვეულ მომენტში, ადამიანთა უმეტესობა ერთიდან რამდენიმე ამ ვირუსით ერთხელ მაინც ინფიც-ირდება. კიდევ ერთმა კორონავირუსმა, რომელიც 2003 წელს ჩინეთში გავრცელდა, უფრო მწვავე დაავადება გამოიწვია, რომელსაც მწვავე რესპირატორული სინდრომი, იგივე SARS-ი უწოდეს. ვირუსით მაშინ 8098 ადამიანი დაინფიცირდა, 774 კი გარდაიცვალა.

2012 წელს საუდის არაბეთში გამოჩნდა კორონავირუსით გამოწვეული კიდევ ერთი დაავადება, რომელსაც ახლო აღმოსავლეთის რესპირატორული სინდრომი, იგივე MERS-ი უწოდესა ხალი ვირუსის ლეტალურობის ზუსტი შეფასება რთულია. ამ ეტაპზე, ის ნაკლებად ფატალური ჩანს, ვიდრე ის კორონავირუსები, რომლებიც SARS-ს და MERS-სიწვევენ, მაგრამ აქვს სიკვდილიანობის უფრო მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე სეზონურ გრიპს. კვლევების დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ სიკვდილიანობის მაჩვენებელი 2 პროცენტია, მაგრამ მეცნიერთა აზრით, რეალური მაჩვენებელი 1 პროცენტზე ნაკლები უნდა იყოს, დაახლოებით სეზონური გრიპის მსგავსად.

რაც შეეხება ახალ ვირუსს, მას **SARS-CoV-2** უწოდეს, მისგან გამოწვეულ დაავადებას კი **COVID-19.**

– როგორ გადადის ახალი კორონავირუსი?

– ადამიანებს ეს ვირუსი პირველად ინფიცირებული ცხოველისგან გადაედო უხანის ბაზრობაზე. ამის შემდეგ ბაზარი დაიხურა და ჩატარდა დეზინფექცია. ჰოსპიტალიზებულ ადამიანთა დაახლოებით 5 პროცენტს დაავადება კრიტიკულ ფორმებში განუვითარდა. როგორც ჩანს, ახალი კორონა ვირუსით ნაკლებად ინფიცირდებიან ბავშვები, საშუალო ასაკისა და ხანდაზმულ პაციენტებში კი ინფიცირების მაჩვენებელი არაპროპორციულია.

სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაღალია კაცებში, ვიდრე ქალებში, სავარაუდოდ, თამბაქოს მოხმარების მაღალი მაჩვენებლის გამო,

დაინფიცირებული ადამიანები სუნთქვისას, საუბრისას, ხველების ან დაცემინებისას წარმოქმნიან ციცქნა რესპირატორულ წვეთებს, რომელთა საშუალებითაც ვირუსი ჰაერში ვრცელდება.

დადგენილია, რომ სწორედ ღამურები იყვნენ SARS-ის საწყისი წყაროც. ასევე შესაძლებელია ისიც, რომ ღამურებისგან ვირუსი რომელიმე შუამავალ ცხოველს გადაედო, მაგალითად, პანგოლინს, რომლის ხორციც ჩინეთის ზოგიერთ რეგიონში დელიკატესად მიიჩნევა; პანგოლინებისგან ვირუსი უკვე ადამიანებში უნდა გადასულიყო, ამის შემდეგ, ვირუსი ადამიანიდან ადამიანში გავრცელდა.

გარე სპირატორული წვეთების დიდი ნაწილი, დაახლოებით ერთი მეტრის მანძილზე დაბლა ეცემა. ადამიანები, რომლებიც ახლო კონტაქტში არიან ინფიცირებულებთან, განსაკუთრებით ოჯახის წევრები და სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლები, ჰაერში გაშვებულ ვირუსს სწორედ ამ გზით იჭერენ.

ჯერჯერობით დაზუსტე-ბით არ იცან, რამდენ ხანს ცოცხლობს ახალი კორონავირუსი სხვადასხვა საგნების ზედაპირზე, მაგრამ როგორც პირველადი კვლევა აჩვენებს, პათოგენის გავრცელებას ვერ უნდა აჩერებდეს ცხელი და ნოტიო გარემო. ცნობილია, რომ თბილი ამინდი აჩერებს გრიპს და უფრო მსუბუქ კორონავირუსებს.

ვანდერბილტის საუნივერსიტეტო სამედიცინო ცენტრის მკვლევარის, დოქტორ უილიამ შაფნერის განცხადებით, გარეშე პირების დაინფიცირების საშიშროება რეალურია როდესაც ადამიანმა არ იცის, რომ ინფიცირებულია, თავისუფლად დადის სამსახურში, სპორტულ დარბაზებში, რელიგიურ დაწესებულებებში, მგზავრობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით და სუნთქავს სხვა ადამიანთა სიახლოვეს. გერმანიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ინფიცირებული ადამიანები შეიძლება გადამდებები იყვნენ მაშინაც, როდესაც სიმპტომები თითქმის არ აღენიშნებათ.

– რა სიმპტომებს უნდა მივაქციოთ ყურადღება?

ამ ინფექციის სიმპტომებს შორის არის მაღალი ტემპერატურა, ხველება, სუნთქვის გაძნელება ან უკმარისობა. დაავადება იწვევს ფილტვის დაზიანებას და პნევმონიას. თუმცა, მსუბუქი შემთხვევები შეიძლება ჰგავდეს გრიპს ან გაციებას. პაციენტებს შეიძლება განუვითარდეთ სხვა სიმპტომებიც, მაგალითად, კუჭ-ნაწლავის პრობლემები და ფაღარათი. ამჟამინდელი მონაცემებით, სიმპტომები ვლინდება ორგანიზმში ვირუსის შეღწე-ვიდან 2-14 დღემდე პერიოდში.

დღეს უკვე არსებობს დიაგნოსტიკური ტესტები, რომლებსაც შეუძლია განსაზღვროს, ხართ თუ არა ინფიცირებული.

– როგორ შეგვიძლია თავის დაცვა?

ინფიცირებისგან თავის დაცვის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა იმ ზოგადი ინსტრუქციების გათვალისწინება, რასაც ექსპერტები გრიპის სეზონებზეც გვაძლევენ, რადგან კორონავირუსი ძირითადად იგივე გზით ვრცელდება.

ექსპერტთა განცხადებით, პირბადეები ვირუსისგან თავის დასაცავად გამოუსადეგარია, მაგრამ თუ თქვენ აღგენიშნებათ რესპირატორული დაავადების სიმპტომები, მისი ტარებით დაავადებისგან სხვებს დაიცავთ.

–როგორი მდგომარეობაა ამჟამად გურიის რეგიონში?

-რეგიონში დგომარეობა სტაბილურია, გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია მართავს სამუშაო შეხვედრებს, სადაც ამ ვირისის პრევენციის მიზნით ცატარებული და დაგეგმილი ღონისძიებები განიხილება

„თუკი მთავრობა ჩვენ მოგვიწოდებს, ვისხდეთ სახლებში, ამ კარიერების მეპატრონეებზე არ ვრცელდება ეს მოთხოვნა?“

გასულ პარასკევს სოფლებში - ლიხაურში, მელექედურში, სილაურში მოსახლეობამ მორიგი საპროტესტო აქციები გამართა

უზარმაზარი მთა დადგეს „გზამშენი 18“-ის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამათ არ ეხება მთავრობის დადგენილება. ვერ ხედავთ რა დამართეს აჭიწყლის ხეობას? –ემოციებს ვერ მალავდა ლიხაურელი **თინა დობორჯგინიძე.**

–ამ კარიერის ზემოთ მთავრობამ 100 მეტრი სიგრძის ნაპირდამცავი დამბა გააკეთა. ამათი წყალობით ახლა ჩამოქცევაზეა. ვინ აგებს ამაზე პასუხს? ან რა გამოდის, ესენი გარკვეულ თანხებს შეიტანენ ბიუჯეტში და სოფელი გაცილებით მეტ ზარალს ნახავს?–აცხადებდა **ნიკოლოზ დონაძე.**

–ჩვენ მდინარე აჭისწყლის გასწორხაზოვნებას ვახდენთ.. რისკზე მივდივართ და ისე ვმუშაობთ. ბიუჯეტს უნდა შევსება. ყველაფერი თუ გაჩერდა, რა მოუვა სახელმწიფოს. ჩვენთან გარემოსდამცველებიც იყვნენ და ნახეს, რომ ლიცენზიის პირობების მიხედვით მოვიპოვებთ ქვა-ღორღს - აქციის მონაწილეებს პასუხობდა კომპანია „კავკაზ ცემენტ ჯორჯიას“ წარმოების უფროსი **გელა დუმბაძე.**

–რატომ მოხვედით, დავიჯეროთ ბიუჯეტის შესავსებად? არა, მხოლოდ ფულის გულისთვის. ხომ ხედავთ, რა დამართეთ ხეობას –ამბობდა **ლამზირ ვასაძე.**

აქციის ადგილას იმყოფებოდნენ სოფელ ლიხაურის მაჟორიტარი დეპუტატი **გიორგი თოიძე,** ოზურგეთის მერის წარმომადგენელი სოფელ ლიხაურში **ივანე ვაშაყმაძე,** დეკანოზი **მამა მათე (გორდელაძე),** იღუმენი **იოსები (ღლონტი),** არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოს“ დამფუძნებლები: **ირმა გორდელაძე, ლევან მგელაძე, გრიგოლ მახარაძე.**

სოფლის წარმომადგენლები და სასულიერო პირები ცდილობდნენ , ცივილიზებურად ეწარმოებინათ დიალოგი „კავკაზ ცემენტი ჯორჯიას“ წარმომადგენლებთან.

–ჩვენ გთხოვთ, გაითვალისწინოთ სოფლის პოზიცია და ერთი თვით შეაჩეროთ მუშაობა. ჩვენ ადრეც ვთხოვეთ ხელისუფლებას, გამოეყოთ თქვენთვის სანაცვლო კარიერი, ამჟამად სოფელმა მოამზადა პეტიცია, რომელსაც 1000-ზე მეტი ადგილობრივია აწერს ხელს და უშუალოდ წიაღის ეროვნულ სააგენტოს მივმართავთ,– ითხოვდნენ ისინი.

საბოლოოდ კომპანია „კავკაზ ცემენტი ჯორჯიას“ წარმოების უფროსი **გელა დუმბაძე** შეპირდა აქციის მონაწილეებს, რომ დროებით შეაჩერებდნენ მუშაობას.

16 და 20 მარტს, სოფელ მელექედურის მოსახლეობამ ორი საპროტესტო აქცია გამართა მდინარე ნატანების აუზში ქვა-ღორღის მოპოვების გამო. მელექედურელები შს „პლატინას“ ედავებოდნენ, რომელსაც ხელშეკრულება აქვს დადებული ინდმეწარმე სიკო მეხუზლასთან.

20 მარტს საპროტესტო აქცია სოფელ სილაურშიც გაიმართა.

როგორც სოფელ სილაურში მომუშავე კომპანიის „ ჩი ენ ჯი“-ს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **იაკობ ლექვინიძემ** გვითხრა, ისინიც ლიზენზიის პირობების მიხ-ედვით მუშაობენ და „ეკოს“ მიერ გამოძახებულმა გარემოს დაცვის აჭარის სწრაფი რეაგირების სამსახურმა აქ ვერავითარი დარღვევა ვერ აღმოაჩინა.

გაზეთ „ალიონს“ ამ თემაზე გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაციის „ეკოს“ თავმჯდომარე **ირმა გორდელაძე** ესაუბრა:

– რეგიონის მდინარეებში ინტენსიურად მიდის წიაღის მოპოვება. .დაღრმავდა მდინარის კალაპოტები, დაზიანდა და გაქრა მიწისწვეშა წყლები, დაშრა სასმელი წყლის ჭები, განადგურდა სანაპირო ზოლი,დაინგრა გზები. წიაღის ეროვნული სააგენტო კვლავ აგრძელებს ოზურგეთის მდინარეებიდან ინერტული მასალების მოპოვებაზე ლიცენზიების გაცემებს, იდება ხელშეკრულებები და მოსახლეობას არც კი ეკითხებიან, ისე ხდება კარიერების გახსნა.

და ამოხეთქა მოსახლეობის მოთმინებამ. კვლავ გამოვიდა ეს ხალხი, მელექედურის შემთხვევაში გამოძახებული იქნა აჭარა-გურიის სწრაფი რეაგირების ინსპექტირები, ელოდებიდნენ მათ დასკვნებს.ორი დღის შემდეგ,ისევ გაგრძელდა სამუშაოები. დღეს კვლავ გამოვიდა მოსახლეობა და ითხოვს სამუშაოების შეწყვეტას. მაგალითად,

ინდმეწარმე სიკო მეხუზლას ლიცენზიით ქვა-ღორღს იპოვებს შ.პ.ს.„პლატინა“,რომელსაც ხელშეკრულება აქვს მეხუზლასთან. წიაღის ეროვნული სააგენტო ყველაფერზე მიდის, არ ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის აზრს, .ხოლო ლიცენზიის მომპოვებლები ასევე არ ითვალისწინებენ წიაღის მოპოვების წესებს. არადა,ეს კანონდარღვევაა ქართული კანონმდებლობით“. ჩვენ დავებს სასამართლოში გავაგრძელებთ.!

საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აკრებულოს დეპუტატმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ლევან მგელაძემ. მისი თქმით, შარშან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კარიერებიდან ბიუჯეტში გათვალისწინებული მოსაკრებელების მხოლოდ 35 პროცენტი შევიდა.

ოსტროს საერთაშორისო დღე

world theatre day march 27

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის გამოცემა

23 მარტი, 2020წ.

ოზურგეთის თეატრის უახლოესი პერსპექტივები

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან ვასო ჩიგოგიძესთან

— ბატონო ვასო, გაზაფხულია და ოზურგეთის თეატრი სადაცაა დაუბრუნდება თავის რეაბილიტირებულ, გაბრწყინებულ შენობას. ამას თეატრთან ერთად მთელი გურია ელოდება.

თქვენ განსაკუთრებით გეგმავთ ახალი შემოქმედებითი ცხოვრების დაწყებას. რას შევთავაზებთ და როდის მოვიწვევთ მაყურებელს აგანახლებულ სათეატრო სი-ვრცეში?

—პირველ რიგში, გაზაფხულს და ჩავლილ დღესასწაულებს ვულოცავ განსაკუთრებით ქალბატონებს, სრულიად საქართველოს. თეატრალებს ვულოცავ თეატრის საერთაშორისო დღეს, რომელსაც წლეულს მართლაც განსაკუთრებული მოლოდინების ფონზე ხვდება ოზურგეთის თეატრი. თეატრი დგას სერიოზული მოლოდინების წინაშე. გვქონდა დიდი გამოწვევები, ბრძოლები, რათა ღირსეულად მოვმზადებულეყავით ამ მნიშვნელოვანი სიახლისათვის. დასრულებულია თითქმის ის დიდი საქმე, რაც ფონდმა „ქართუმ“ ითავა. დარჩენილია მხოლოდ სამონტაჟო სამუშაოები და ველოდებით, რომ აპრილში ჩვენს მშობლიურ კერას დავუბრუნდებით. მინიმუმ სამი თვე დაგვჭირდება ახალ სივრცეში ადაპტირებისათვის, როგორც ტექნიკური ბაზის, ასევე შემოქმედებითი აღჭურვილობის თვალსაზრისით. ასევე დრო სჭირდება შემოქმედებით მზაობას.

ამჟამად ოზურგეთის თეატრი ხელმძღვანელობს მთავრობის 2020 წლის 11 მარტის დადგენილებით და 1 აპრილამდე შეწყვეტილია საქმიანობა. არის დაპაუზებული მიმდინარე ორი სპექტაკლის: ედუარდო დე ფილიპოს „ნეაპოლი მილიონერთა ქალაქია" და ვაცლავ ჰაველის "ვერნისაჟი" რეპეტიციები. იმედია, მალე ყველაფერი ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდება და თეატრალურ დღესასწაულებზეც მოვიწვევთ მაყურებელს.

ახალი 153-ე სეზონისა და ახალი შენობის გახსნა იგეგმება სექტემბერში. გვაქვს საინტერესო ჩანაფიქრი - მინიმუმ ხუთი პრემიერით გავხსნათ ჩვენი რეაბილიტირებული შენობა. დავიწყეთ სამზადისი. რეჟისორი ოთარ კუტალაძე მუშაობს სპექტაკლზე „ნეაპოლი მილიონართა ქალაქია“, ხოლო რეჟისორი მამუკა ბაბილოძე — „ვერნისაჟზე“. ვაპირებთ ეტაპობრივად გამოვუშვათ სპექტაკლები და გავამზადოთ გახსნისათვის.

თეატრალებს ემასოვრებათ ჩვენი სპექტაკლი ნოდარ დუმბაძის მიხედვით „მონატრება“, რომელიც ვითამაშეთ დუმბაძის სახელობის თეატრალურ ფესტივალზე ჩოხატაურში. ვაპირებ ამ სპექტაკლის ახალი ვერსიის დადგმას. ვერსია დამუშავდა ახალგაზრდა თეატრალურ კრიტიკოსთან ერთად. მთელი დასი იქნება ამ სპექტაკლში წარმოდგენილი.

თეატრს ექნება სამი და შესაძლოა მეტი სცენა. ამ ეტაპზე ვემზადებით ორი სცენისათვის - დიდი სცენისათვის, რომელიც შეცვლილია, პარტერიც, ბენუარის ლოჟებიც გაახლებულია. ლიფტი იმუშავებს. მეხუთე სართულზე, სხვენზე იქნება მცირე ექპერიმენტული, არენის ტიპის სცენა, ეს იყო ჩემი ოცნება. მსგავსი სცენა თავის დროზე შეექმენით მეტეხის თეატრში, რომლის ერთ-ერთი დამფუძ-ნებელიც გახლდით. მცირე სცენაზე გავუშვებთ „ვერნ-ისაჟს“ და „ჰამლეტს“, რომელსაც ვამზადებ ახალი თარგმანით. ესეც ჩემი ოცნება გახლდათ. სიურპრიზებით სავსე იქნება როლების განაწილებაც.

— ბატონო ვასო, გახსნაზე მოწვეული რეჟისორების ნამუშევარსაც ვიხილავთ?

— ახალგაზრდა რეჟისორს ნიკა საბაშვილს ჩვენ შევუკვეთეთ სპექტაკლი გურიაზე. იგი შექმნის თავისი თვალთახედვით სცენურ ვერსიას.

გვაქვს შეთანხმება ბატონ თემურ ჩხეიძესთან, რომ ამ დროისათვის გაამზადებს სპექტაკლს, დეტალებს ჯერ კიდევ ვაზუსტებთ.

ცხინვალის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გოჩა კაპანაძე მუშაობს სცენურ ვერსიაზე დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის თემაზე. დანარჩენი სიურპრიზია.

ამით არ ამოიწურება ჩვენი რეპარტუარის მრავალფეროვნება. რეჟისორ ელენე მაცხონაშვილს, რომელმაც ჩვენთან წარმატებით წარმოადგინა თავისი სპექტაკლები თოჯინებ-მარიონეტებისა და ცოცხალი პლანის შერწყმით,



შევთავაზე იმუშავოს „დონ კიხოტზე“.

ჩვენი გეგმა ამ შვიდ სიახლეს შეიცავს. თუკი ეს შვიდივე პრემიერა არ გვექნება გახსნისათვის, მათ ვაჩვენებთ ამ წლის ბოლომდე.

— ბატონო ვასო, სასიხარულოა, რომ შარშან თქვენმა იდეამ ოზურგეთი-გენიჩესკის ტრადიციული მეგობრობის აღდგენის შესახებ მხარდაჭერა პოვა ორივე რაიონის, გურიისა და ხერსონის მხარის ხელმძღვანელთა მხრიდან და შედგა კიდეც პირველი შეხვედრასტუმრობა გურიაში. ეს კი თეატრის ხერსონში თეატრალურ ფესტივალზე გამგზავრებით დაიწყო. წელს კვლავ მიემგზავრებით უკრაინაში. ეს მხოლოდ თეატრის ფესტივალში მონაწილეობა იქნება თუ ჩვენი მხარეების დელეგაციებიც ჩაერთვებიან?

— სასიხარულოა, რომ თეატრალურმა ხელოვნებამ მოახერხა და ჩვენი მხარეების რვა ათეულ წელზე მეტი ხნის ძმობის შეწყვეტილი ისტორის აღდგენის ძლიერი მუხტი გააჩინა, რაშიც ჩვენ მართლაც მაქსიმუმი ჩავდეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, გურიის მხარის თავკაცთა - კოტე შარაშენიძის, დავით დარჩიას, ზურაბ ნასარაიას და ჩვენი პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის არჩილ თალაკვაძის თანადგომით.

წელს, 27-31 მაისს ვიქნებით მელპომენე ტავრიის ფესტივალზე ხერსონში, აუცილებლად ჩავალთ გენიჩესკშიც. მიგვაქვს რეჟისორ ელენე მაცხონაშვილის ორი სპექტაკლი, ჩვენი მაყურებლისათვის კარგად ცნობილი „ფიროსმანი“ და „ჩარლი ჩაპლინი -წერილი ჯერალდინას“.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადგილზე დაგეგმილია სამთავრობო ღონისძიებები, რომლებსაც დაესწრება ოზურგეთის, გურიის მხარის სახელისუფლებო დელეგაციაც.

შარშან, თურქეთში, სტამბულის თეატრალური ფესტივალის მსვლელობისას შვიდი ქვეყნის თეატრების ხელმძღვანელებმა ჩამოვაყალიბეთ „ევრაზიის თეატრთა კავშირი“, ერთ-ერთი დამფუძნებელი ჩვენც ვართ. ხერსონში ჩატარდება ამ კავშირის პირველი კონფერენცია, კავშირს დაემატება ახალი წევრები.

— ბატონო ვასო, თქვენ ზემოთ ბრძოლა ახსენეთ და ბევრს კარგად მოეხსენება, რამხელა ძალისხმევა ჩადეთ თქვენ და ბატონმა ზაზამ ახალი შენობის მოვლის შესაბამისი თეატრის ახალი ბიუჯეტისა და სამსახურების შექმნაში.

— ეს არის უმტკივნეულესი საკითხი. უზარმაზარია ამ თანამდეროვე ტექნოლოგიების, კომფორტის შენარჩუნების მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა. გაიზარდა ჩვენი ტექნიკური პერსონალის შტატები არა სასურველი, თუმცა ამ ეტაპზე მისაღები რაოდენობით. რაც შეეხება კომუნალურ ხარჯებს, რომელიც უზარმაზარია ჩვენთვის, წლეულს ჩვენი სამინისტრო დაფარავს. შვიდი ათასი კვადრატული მეტრია თეატრის სასარგებლო ფართი.

მინდა ოზურგეთის მოსახლეობამ ოცოდეს, რომ თეატრი ფინანსდება სამინისტროდან და არა ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ძალიან დიდია

გვ-2

ვულოცავ თეატრალებს თეატრის საერთაშორისო დღეს!

ჩვენ, თეატრში მოღვაწეებს, ორი მნიშვნელოვანი ზეიმი გვაქვს, 14 იანვარს ქართული თეატრის დღეს აღვნიშნავთ და 27 მარტს — თეატრის საერთაშორისო დღეს. ქართული თეატრი მსოფლიო სათეატრო ოჯახის განუყრელი ნაწილია. ჩვენმა თეატრმა გააფართოვა საერთაშორისო კონტაქტები და მნიშვნელოვნად გაიზარდა ოზურგეთის თეატრის ცნობადობა არაერთ ქვეყანაში.

ვულოცავ თეატრალებს თეატრის საერთაშორისო დღეს, რომელსაც ჩვენ რეაბილიტირებულ შენობაში გადასვლის მოლოდინით ვხვდებით. განახლებულია თეატრის ტექნიკური ბაზა, შექმნილია ახალი სამსახურები, მიმდინარეობს შემოქმედებითად საინტერესო, დატვირთულ, მრავალფეროვან და მრავალმხრივ პროგრამაზე მუშაობა.

განსაკუთრებულია მაყურებელთან შეხვედრის მოლოდინის გრძნობა. შემოდგომაზე მაყურებელთან ერთად ვიზეიმებთ ახალი თეატრალური 153-ე სეზონის განახლებულ და რეაბილიტირებულ შენობაში გახსნას.

ზაზა ჯინჭარაძე,
ოზურგეთის თეატრის
დირექტორი



თანამედროვე სამსახიობო ხელოვნების ზოგიერთი საკითხი

თანამედროვე სამსახიობო ხელოვნების საკითხები იმდენად მრავალფეროვანია და ამოუწურავი, რომ მას ხანგრძლივი და ინტენსიური კვლევა სჭირდება. თეატრი ვითარდება სწრაფად და იცვლება მისი გამოსახვის ფორმები. ხშირად მკვლევარებს უჭირთ კიდეც არა მხოლოდ თვალყურის მიდევნება თანამედროვე თეატრალური პროცესებისადმი, არამედ გაანალიზება იმისა, რაც ზოგადად მსოფლიო თეატრში ხდება. თანამედროვე თეატრზე საუბრისას რატომღაც გვგონია, რომ პროცესები, რომელიც ახლა მიმდინარეობს, არის ახალი. სინამდვილეში კი, ეს კარგად დავიწყებული ძველია. თანამედროვე თეატრი ინტენსიურად უბრუნდება პირველწყაროებს, თავის ფესვებს, რიტუალს. მე-20 საუკუნიდან მოყოლებული, ევროპული თეატრი იკვებება აღმოსავლური კულტურით. ექსპერიმენტების ფორმით ევროპულ სათეატრო ტრადიციას ერწყმის აღმოსავლური რიტუალის ფორმა და ტრადიციები. ეს პროცესები გაცილებით ადრე დაიწყო და საუკუნეზე მეტია დღემდე გრძელდება.

მსახიობის ხელოვნება, მიუხედავად ტექნოლოგიური წინსვლისა, რომელიც თეატრშიც შემოიჭრა, მაინც თეატრის აქტუალურ, აუცილებელ და წამყვან კომპონენტად რჩება. მის გარეშე თეატრი წარმოუდგენელია, ვინაიდან ის ერთადერთი ცოცხალი ხელოვნებაა

გვ-3

ოზურგეთის თეატრის უახლოესი პერსპექტივები

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან ვასო ჩიგოგიძესთან

ოზურგეთის მერიისა და საკრებულოს თანადგომა, თუმცა მათ კანონით არ აქვთ ხშირ შემთხვევაში უფლება ისე დაგვეხმარონ, რისი სურვილიც აქვთ. დიდი მადლობა მათ თანადგომისათვის. ამ ეტაპზე ოზურგეთის ბიუჯეტს ფაქტობრივად არ ვაწუხებთ. იმედია, რაღაც შეიცვლება კანონმდებლობაში. ეს შენობა არ გახლავთ მარტო თეატრის, ეს არის გურიის სიამაყე. ეს არის უნიკალური ძეგლი და კულტურის კერა, 152 წლოვანი. ეს გურიაში სიამაყეს უნდა იწვედეს და არა „რად გვინდა“ დამოკიდებულებას. არამარტო ოზურგეთი, გურია უნდა გამოეხმაუროს ამას.

– რეაბილიტირებული შენობა იძლევა რეგიონში შემოქმედებითი ცხოვრებისათვის ახალი ასპარეზის შეთავაზების შანსს?

– ჩვენ შევეცდებით აუცილებლად აქ იყოს ლიტერატურული სალონი. მოვიყვანოთ შემოქმედებითი ადამიანები და მივცეთ საშუალება ჭიქა ყავაზე ან ჩაიზე ისაუბრონ, შეიკრიბონ.

მინდა შევქმნათ ოზურგეთის თეატრის ფანკლუბი, მეგობართა კლუბი. არის ასეთი სხვა ქალაქებში. ჩვენს თეატრსაც ჰყავდა და ჰყავს მხარდამჭერთა ფართო წრე. ჩვენ მივცემთ ჩვენს გურულებს საშუალებას მოვიდნენ ცოცხალ ხელოვნებასთან, თავისი მწერლობით, პოეზიით, პროზით, დრამატურგიით, მხატვრობით და სულიერებით. თორემ იმ განწყობებით, რასაც თავს გვახვევენ, ვერ გადავრჩებით. იმედია, განახლებული თეატრი სათავეს დაუდებს რეგიონში განახლებულ შემოქმედებით ცხოვრებას.

ესაუბრა
ლია კილაძე,
თეატრის პრეს სამსახურის
უფროსი

„ოზურგეთის თეატრის ... ...

დოდო ალექსიძე - 110

დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდა გამოჩენილ და ღირსეულ ქართველ რეჟისორს დიმიტრი ალექსიძეს, რომელიც საქართველოში წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა რუსთაველისა მარჯანიშვილის თეატრებს, იყო მაშინდელი თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო კათედრის გამგე და საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე და ავტორი არაერთი მნიშვნელოვანი სპექტაკლისა, რომელიც დღეს ქართული თეატრის ოქროს საგანძურია,

დიმიტრი ალექსიძე წარმატებით ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოშიც და უცხოეთშიც. ის ჩემი პედაგოგი იყო თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, ამჟამად, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ჩვენი ჯგუფი იყო მისი პირველი სტუდენტები უკრაინიდან სამშბლოში დაბრუნების შემდეგ.

დიმიტრი ალექსიძე გამორჩეული ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება იყო. ჩვენ განსაკუთრებით თბილი, მამაშვილური ურთიერთობა გვქონდა. მე მისი უსაყვარლესი სტუდენტი ვიყავი. სიყვარულით „გურიეცი“ შემარქვა, ლექციებს გარეთაც არ მაკლებდა ყურადღებას.

დიმიტრი ალექსიძემ არაერთი ღირსეული და გამოჩენილი ხელოვანი აღზარდა, რომლებიც დღემდე ერთგულად ემსახურებიან ქართულ თეატრს. სამწუხაროდ, ჩვენი ჯგუფიდან, როგორც რეჟისორი, მხოლოდ მე ვაგრძელებ მუშაობას და ვხელმძღვანელობ თეატრს.

მის იუბილესთან დაკავშირებით თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მუზეუმში მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოგამოფენა გაიხსნა.

ეს ფოტოც ისტორიის ნაწილია და ჩემს არქივში მას გამორჩეული ადგილი უჭირავს. სიცოცხლის ბოლომდე დამაკლდება ამ უსუფთავესი სულის, უბოროტო ადამიანის სითბო, თანადგომა და ცხოვრებისეული გაკვეთილები.

ვასილ ჩიგოგიძე,
საქართველოს ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე,
კ. მარჯანიშვილის პრემიის
ლაურეატი,
ოზურგეთის თეატრის სამხ-
ატვრო ხელმძღვანელი,
ნოდარ დუმბაძის სახელობის
საერთაშორისო თეატრალური
ფესტივალის დამფუძნებელი
და სამხატვრო ხელმძღვანელი.

ვულოცავთ!



გ. გეგეჭკორის ნახატი

გურიის ერთადერთ მოქმედ სახალხო არტისტს, ვარსკვლავოსანს, ხელოვნების ქურუმს, უამრავი პრემიისა და ჯილდოს ლაურეატს, ჩვენი თეატრის სიამაყეს, ნიჭიერ ხელოვანსა და საუკეთესო ადამიანს **გაბრიელ მდინარაძეს** 27 მარტს, თეატრის საერთაშორისო დღეს 92 წელი შეუსრულდება. სიმბოლურია ამ თარიღების დამთხვევა. ბატონი გაბოს ცხოვრებაში ხომ თეატრი უპირველესია, მისმა სიყვარულმა აარჩევინა პროფესია, მრავალი დასამახსოვრებელი სახე შექმნა და მაყურებლის აღიარება მოიპოვა.

კვლავ მხნედ და წარმატებებით გაგეგრძელებინოს გზა ჩვენო გაბილა.

თანამედროვე სამსახიობო ხელოვნების ზოგიერთი საკითხი



თანამედროვე სამსახიობო ხელოვნების საკითხები იმდენად მრავალფეროვანია და ამოუწურავი, რომ მას ხანგრძლივი და ინტენსიური კვლევა სჭირდება. თეატრი ვითარდება სწრაფად და იცვლება მისი გამოსახვის ფორმები. ხშირად მკვლევარებს უჭირთ კიდეც არა მხოლოდ თვალყურის მიდევნება თანამედროვე თეატრალური პროცესებისადმი, არამედ გაანალიზება იმისა, რაც ზოგადად მსოფლიო თეატრში ხდება. თანამედროვე თეატრზე საუბრისას რატომღაც გვგონია, რომ პროცესები, რომელიც ახლა მიმდინარეობს, არის ახალი. სინამდვილეში კი, ეს კარგად დავიწყებული ძველია. თანამედროვე თეატრი ინტენსიურად უბრუნდება პირველწყაროებს, თავის ფესვებს, რიტუალს. მე-20 საუკუნიდან მოყოლებული, ევროპული თეატრი იკვებება აღმოსავლური კულტურით. ექსპერიმენტების ფორმით ევროპულ სათეატრო ტრადიციას ერწყმის აღმოსავლური რიტუალის ფორმა და ტრადიციები. ეს პროცესები გაცილებით ადრე დაიწყო და საუკუნეზე მეტია დღემდე გრძელდება.

მსახიობის ხელოვნება, მიუხედავად ტექნოლოგიური წინსვლისა, რომელიც თეატრშიც შემოიჭრა, მაინც თეატრის აქტუალურ, აუცილებელ და წამყვან კომპონენტად რჩება. მის გარეშე თეატრი წარმოუდგენელია, ვინაიდან ის ერთადერთი ცოცხალი ხელოვნებაა და სწორედ ამით განსხვავდება სხვა ხელოვნების დარგებისგან. ამიტომ მსახიობი თანამედროვე თეატრში არის ის იარაღი, რითაც რეჟისორი თავის სათქმელს „ისვრის“. თანამედროვე სამსახიობო ხელოვნებასთან კავშირში შემთხვევით არ მიხსენებია რიტუალი და თეატრის ძველ საწყისებთან მიბრუნება. თანამედროვე მსახიობი სწორედ სპექტაკლის, ანუ რიტუალის მონაწილეა, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს მაყურებელზე, მსმენელზე და ხდის მას წარმოდგენის მონაწილეს. მსახიობი მისტიკოსია, რომელიც სიტყვითა და მოძრაობით ზემოქმედებს დამსწრე საზოგადოებაზე.

თანამედროვე მსახიობი ორი პრობლემის წინაშე დგას: იყოს უნივერსალური შესაძლებლობის; ებრძოლოს ტექნიკურ პროგრესს პირველობის შესანარჩუნებლად.

თანამედროვე მსახიობი ურთულესი და უამრავი გამოწვევების წინაშე დგას. მას გამართულად მეტყველებასთან და გარდასახვასთან ერთად, თანაბარ ხარისხში უნდა შეეძლოს ცეკვა, უნდა იყოს დაჯილდოებული მუსიკალური (ვოკალური) ნიჭით და ფიზიკურად სხეულის მომზადებასთან ერთად, მას უნდა შეეძლოს კასკადიორობა. ამ მხრივ, კი კონკურენცია თანამედროვე თეატრში დიდია.

თანამედროვე თეატრი ვერ იტანს სიყალბეს, შესაბამისად, სამსახიობო ხელოვნებიდან გაქრა პათეტიკურობა, ზეაღმატებული ტონი, საუბრის თეატრალური მანერა და თანამედროვე მსახიობი მოგვევლინა უშუალო და გულწრფელ ადამიანად, რომელიც მხოლოდ ჩვენს პრობლემებზე გვესაუბრება სცენიდან.

მსახიობის უნივერსალურობის მოთხოვნა თანამედროვე თეატრში გამოწვეულია იმ პროცესებით, რომელიც ევროპულ თეატრში მიმდინარეობს. თანამედროვე თეატრის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ფორმების და ჟანრების აღრევა. ამიტომაც მსახიობი მზად უნდა იყოს სხვადასხვა მხატვრული ფორმის და ჟანრის სპექტაკლში მონაწილეობის მისაღებად.

მსახიობი ერთგვარი მედიატორია თეატრსა და მაყურებელს შორის, რომელიც ინფორმაციის უნივერსალური გამტარია. პროცესის ორმხრივობაც (ურთიერთობა მაყურებელთან) სწორედ მსახიობის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული.

თანამედროვე თეატრი საუბრობს ყველა ენაზე და ქმნის ახალ სათეატრო ენას, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა კულტურას ერთმანეთთან. მიუხედავად ამისა, შენარჩუნებულია ეროვნული თეატრები, რომელიც ტრადიციებს ეფუძნება და არანაკლებ ინტერესს იწვევს მაყურებელში, თუმცა ასეთი თეატრი ჩაკეტილია კონკრეტულ ლოკალურ სივცეში და მისი განვითარება ფერხდება. მხოლოდ ახალი ფორმების მოტანა და გაცნობა არ ავითარებს თეატრს და სამსახიობო ხელოვნებას, ის უნდა გახდეს ორგანული და უნდა იყოს გაანალიზებული.

ინტენსიურად იცვლება თეატრის ფორმები, ჟანრები, იშლება ყოველგვარი ზღვარი, ირღვევა კანონები. მსახიობი ამ პროცესის უშუალო მატარებელი და გამომხატელია. ყველა რეჟორმა, რომელიც რეჟისურით ტარდება დასავლურ თეატრში, მსახიობის საშუალებით ხორციელდება.

ტექნიკურმა პროგრესმა შვა ახალი ტიპის თეატრი, რომელსაც მულტიმედიურ თეატრს უწოდებენ. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში გერმანელი რეჟისორის ერვინ პისკატორის მერ ეკრანის გამოყენებამ თეატრში, სათავე დაუდო მულტიმედიურ თეატრს, რომელმაც მსახიობს გარკვეული ახალი ამოცანები დაუსახა. ციფრული ტექნოლოგიების სამყაროში მსახიობს მოუხდა ახალ სცენურ პარტნიორთან - ეკრანთან (მასზე გამოსახულ უსულო მოძრავ არსებასთან) თანამშრომლობა. გამოსახვის ახალ ფორმებს ნერგავს და ავითარებს უამრავი თეატრალური კომპანია ევროპაში და ამერიკაში, მაგრამ მსახიობის ხელოვნება მაინც წამყვანი და ცენტრალური ფიგურა რჩება ამ მომხიბვლელ თაიგულში. განსაკუთრებით ამ მიმართულებით გამოირჩევა რობერ ლეპაჟის (Rober Lepage), რობერტ ვილსონისა (Robert Wilson) და ამით ლაჰავის (Amit Lahav) ძიებები. მსახიობი კიბერ რეალობაშიც კი რჩება უპირველესად თეატრში.

ყველაზე დიდი პრობლემა, რაც თანამედროვე აღმოსავლეთ თეატრის სამსახიობო ხელოვნებაში დგას, ეს არის დასავლეთ ევროპული სამსახიობო ხელოვნების სწავლების მეთოდოლოგიის დანერგვა უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებელში, რათა მომავალი თაობის მსახიობი იცნობდეს არა მხოლოდ სტანისლავსკის სისტემას მსახიობის აღზრდის შესახებ, არამედ ინტენსიურად ეცნობოდეს სხვა თეატრის გამოჩენილ რეფორმატორთა (მიხაილ ჩეხოვის, ბერტოლდ ბრეხტის, ეჟი გროტოვსკის, თადეუშ კანტორის, ქეითი მიტჩელის) მსახიობის აღზრდის და სამსახიობო ხელოვნების სწავლების მეთოდოლოგიას.

ლაშა ჩხარტიშვილი
თეატრმცოდნე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

ჩოხატაურის სახალხო თეატრი – 135

საქართველოში ბევრი პროფესიული თეატრია, რომელთა ასაკი 50 წელს არ აღემატება, არადა ჩოხატაურის სახალხო თეატრი წელს 135 წლის ხდება. ჩოხატაურში სათეატრო ცხოვრება XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო და დღემდე არ შეწყვეტილა. თეატრში მოღვაწეობდა თაობები, რომლებმაც ათწლეულების განმავლობაში შეინახეს, განავითარეს და თაობებს გადასცეს თეატრალური ტრადიციები.

დღესაც ჩოხატაურის სახალხო თეატრი ერთ-ერთი ფუნქციური და მძლავრი კულტურული კერაა რეგიონში, რომელიც ერთგულად და სიყვარულით ემსახურება თეატრალურ ხელოვნებას.

გილოცავთ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს, შემდგომ წარმატებას და გამარჯვებას გისურვებთ.

ლაშა ჩხარტიშვილი,
თეატრმცოდნე

მიხეილ გოლიაძე - თეატრისა და ხელოვნების მემატიანე

მიხეილ გოლიაძე ოთხ ათეულ წელზე მეტხანს ემსახურა ოზურგეთის თეატრს, რომლის სალიტერატურო ნაწილის გამგე გახლდათ. იგი იყო ადამიანი, რომელიც თეატრით ცოცხლობდა. ოზურგეთის თეატრის წარსულიდან პირველი წარმოდგენიდან დაწყებული (ეს იყო 1868 წლის 10 მარტს, გიორგი ერისთავის პიესის "ვაყრის" პრემიერა) ბევრი მასალა მან მოიპოვა და დაუტოვა შთამომავლობას. მასზე თამამად შეიძლება ითქვას: იყო, იღვაწა და ვალმოხდილი წავიდა.

მიხეილ გოლიაძე დაიბადა 1926 წელს ქ. ოზურგეთში (მახარაძე), თაყაიშვილის ქუჩაზე. შობლები: ილია გოლიაძე და ოლღა დათუნაშვილი, აზნაურ შარაშიძეთა შთამომავალი, მეუღლე დამსახურებული პედაგოგი, მერი ჯაველიძე. შეეძინათ ორი ქალიშვილი ნანა და ირმა.

ქალაქის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლობდა რუსთაველ-ლის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, მაგრამ ვერ დამთავრა.

ამის შემდეგ ორი წელი იმუშავა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში რეჟისორის ასისტენტად. აქ გაიცნო თეატრის მოღვაწენი: ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, სესილია თაყაიშვილი, კინომსახიობი ნატო ვაჩნაძე, მათ დიდი ხნის უწყვეტი მეგობრობა აკავშირებდათ.

1950 წლიდან ფუტკარივით ფუსფუსებს ხელოვნების სფეროში. მისი და ნინა ზაქარიაძის მიერ დაარსებულ პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორიც, შემდეგ კი სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. ბ-ძა მიხეილმა დაარსა პირველი ბავშვთა დრამატული წრე, რომელიც ნაყოფიერი ბავშვთა აღმზრდელობითი საქმიანობისათვის ბატონი ბეჟან ნაკაიძის წარდგინებით, ბავშვთა თეატრის წოდებით დაჯილდოვდა.

ოზურგეთის თეატრი მუდამ შეფობდა ბავშვთა თეატრს. მიხეილთან ერთად თეატრის რეჟისორები: გრ. ლაღიძე, ლერი პაქაშვილი, გურამ აბესაძე, ვასო ჩიგოვიძე დგამდნენ საბავშვო წარმოდგენებს, ბავშვთა სპექტაკლებში ბ-ნ მიხეილის მიწვევით მონაწილეობდნენ თეატრის მსახიობები: ვლ. მექვაბიშვილი, ა. ქადეიშვილი, რ. ლომინაძე, ვლ. ბაჯელიძე, გ. ახმეტელი, ო. მოლარიშვილი, მ. დონაძე, რ. სარიშვილი და სხვები.

მრავალმხრივია ბ-ნ მიხეილის მოღ-ვაწეობის სფეროები: იგი მუშაობდა კულტურის სახლის, მასწავლებელთა სახლის დირექტორად. 1968 წ. თეატრისათვის უნიკალური მასალების მოძიებისათვის, დანიშნეს თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ. შემდეგ მუზეუმის გამგედ. ბოლომდე ემსახურა თეატრს, განუწყვეტლივ იბეჭდებოდა მისი წერილები, რეცენზიები, ანონსები, თეატრის ახალ დადგმებზე.

ქნიდა საუბლეო ბუკლეტებს ანა ანღულაძის, ამირან ქადეიშვილის, ომარ ურუშაძის, ნუგზარ ბარამიძის, იური ჯიჯეიშვილის საიუბილეოდ.

სკოლებში, კლუბებში, კულტურის სახლებში, აწყობდა პოეზიის საღამოებს, ლიტერატურულ—მუსიკალურ ზეიმებს, მონაწილეობდა საახალწლო ზეიმებში, ფესტივალში „გურიის გაზაფხული", „ზღაპრის კვირეული" და სხვა.

1970 წელს დაჯილდოვდა მედლით „თავდადებული შრომისათვის", 1970 წელს რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატია, 1984 წელს სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდა., 1988 წელს მინიჭა კულტურის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

სიცოცხლის ბოლო წლებში დამსახურა ღირსების ორდენი.

ის მუშობდა : ოზურგეთის, აგრეთვე ბათუმის, ახალციხის, თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში რეჟისორის ასისტენტად. ზოგჯერ დგამდა სპექტაკლებსაც.

2002 წელს მისი ბავშთა თეატრის 50 და მისი დაბადებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმისთვის, დაუცხრომლად ემზადებოდა, 16 მაისს, 9 დღით ადრე, მისასალმებელი წერილი დაწერა...

„მე გული ისევ მერჩის, უამრავი საქმე მაქვს გასაკეთებელი... მე სრულიად ახალგაზდა ვარ... რადგან თქვენი სიყვარული მასსაზს ფრთებს... " ჩამოჯდა, ჩაიმუხლა დასასვენებლად და... მარადისობაში გაემგზავრა.

მრავალ დარიგებათა შორის, ესეც დაგვიტოვა „დიდი ტრადიციების მქონე ოზურგეთის თეატრმა, თავისი თითქმის საუკუნენახევარი არსებობის მანძილზე, მრავალი სახელწოდება და ფორმა გამოიცვალა, მაგრამ მუდამ დარჩა, რეალისტური ხელოვნებისთვის მებრძოლი. შმობლიურ ნოყიერ ნიადაგზე მაგრად ფესვებგადმული, ყველამ უნდა ვეცადოთ, რომ ეს ფესვები არ გაუხმეს, ამ ძირძველ თეატრს".

2006 წლის 29 მაისს, ბ-ნ ოთარ კუტალაძის, რეზო სარიშვილის და ბახვა ოთხმეზურის ინიციატივით, ბ-ნ მიხეილის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავად მემორიალური დფა გაიკრა მისი საცხოვრებელი სახლის ფასადზე.

ასეთი გახლდათ ბ-ნი მიხეილი ამაგდარი ადამიანი, თეატრისა და ხელოვნების მემატიანე, მისი ღვაწლი დიდია გურიის კულტურის ისტორიაში.

ზაირა კალანდაძე-თოთიბაძე,
საქართველოს დამსახურებული
არტისტი

მკითხველებს

ძვირფასო მეგობრებო, საკმაოდ დაგვიანებით, მაგრამ მაინც შევუ-დექით პირველი ქართული თეატრ-ალური ენც-იკლოპედიის შექმნას და უკვე სამი წელია, ჩვენი უნივერსიტეტის ყოველთვიურ გაზეთ „დურუჯში" სისტემატურად ქვეყნდება ახალახალი სტატიები ქართული თეატრის მოღვაწეებზე...

რაც შეეხება უშუალოდ ოზუ-რგეთის სახელოვან თეატრს, მკითხველს უკვე მივაწოდეთ სტატიები ისეთ ცნობილ მსახიობებზე, როგორიც იყვნენ საქართველოს დამსახურებული არტი-სტები — ქ-ნი ანა ანდღულაძე და ბ-ნ ილია არობელიძე.

დიდი სურვილი გვაქვს, რომ ამჟამად თქვენ შემოგვთავაზოთ ეს სტატიები და გამოხმაურებაც გთხ-ოვოთ, ეგებ რაიმე გამოგვრჩა ამ შესანიშნავი მსახიობების ცხოვრებიდან, რაც თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რადგან სწორედ თქვენ ბრძა-ნდებით მათი პირველი და მარადიული მაყურებლები, პირადადაც იცნობდით და ა. შ. ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, როცა ჩვენი ენციკლოპედია წიგნად გამოვა.

ძალიან საინტერესო იქნება თქვენი გამოხმაურება ამ მხრივ და დიდად დაგ-ვავალებთ, თუ არ დაიზარებთ.

უღრმესი პატივისცემით
პროფ.
გოგი დოლიძე
პირველი ქართული
თეატრალური
ენციკლოპედიის მთავარი
რედაქტორი.

ანდღულაძე ანა მიხეილის ასული

ანდღულაძე ანა მიხეილის ას. (15. IV. 1918, ჩოხატაურის რ-ის სოფ. ბასილეთი — 12. VIII. 1998, თბილისი) — მსახიობი. საქ. დამს. არტ. (1967).

პროფესიული სამსახიობო განათლება არ მიუღია. 1934 — 37 სწავლობდა მახარაძის (დღევანდელი — ოზურგეთის) ჩაის ტექნოლოგიურ ტექნიკუმში, სადაც ი. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე „მგზავრის წერილებიდან" ისეთი შთაგონებით წაიკითხა ერთი ფრაგმენტი, რომ რეჟ. გ. როსეას ყურადღება მიექცია... ასე გახდა ა. 1938 ოზურგეთის თეატრის მსახიობი.

სწორედ ამ თეატრს მოუძღვნა მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა, იმის პატივიც აქ ხვდა წილად, რომ სხვადასხვა სპექტაკლში პარტნიორობა გაეწია ქართული სცენის აღიარებული ოსტატებისთვის (ვერიკო, აკაკი ვასაძე, გიორგი შავგულიძე და სხვ.).

ექვსი ათეული წელი ემსახურა მშობლიური თეატრის სცენას მეუღლესთან — საქ. სახ. არტისტ რომან ლომინაძესთან ერთად. ამ ხნის განმავლობაში უმრავი საინტერესო როლი შასრულა და მაყურებლის დიდ სიყვარულიც დაიმსახურა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ნატო (ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი"), ვარდო (დ. ჭონქაძის „სურამის ციხე"), გვირისტინე, გულთამზე (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება", „ყვარყვარე თუთაბერი"), მართა, ზურათასანუში (გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია" და „შითან ხიხო"), ქეთევანი (დ. ერისთავის „სამშობლო"), პრასკოვია (ვ. დარასელის „კიკვიძე"), ასული (რ. ჯაფარიძის „ყამთაბერის ასული"), ლიდა (ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი"), პეპელა (ი. ვაკელის „პრაკუნე"), გაიანე (ი. მოსაშვილის „ჩაძრული ქვები"), ვალიდა (გ. წერეთლის „პირველი ნამბავი"), გულო, მაგდა, ლეილა (გ. ბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი", „სიყვარულის ძალა", „ლერწამი ქარში"), ელიზავეტა (მ. გორკის „ეგორ ბულიჩოვი და სხვები"), პრიუდსი (ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე"), ძიძა (ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა"), ლედი მილფოდი (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული"), ქალოვანი (ე. ნინოშვილის „პატარა") და სხვ. ა. პარალელურად მუშაობდა ოზურგეთის მოსწავლეთა სახლის დრამწრის ხელმძღვანელად.

პირველი და ნამდვილი მსახიობური აღიარება მოღვაწეობის 20 წლისთავზე მოიპოვა, როცა მშობლიურ თეატრს მეტად საპასუხისმგებლო გასტროლები ჰქონდა თბილისში დასწორედ ამ დროს (31. III. 1958) თანაგუნდელ ვლადიმერ დოლიძესთან ერთად, საქ. თეატრალურმა საზოგადოებამ შემოქმედებითი საღამო გაუმართა ხელოვნების მუშაკთა სახლში. ოზურგეთის თეატრის ამ ორ გამორჩეულ მსახიობზე ისაუბრეს: ხელ. დამს. მოღვაწემ, პროფ. აკ. ფალავამ, ჟურ. „საბჭოთა ხელოვნების" რედაქტორმა, ო. ეგაძემ, რეჟ. ო. ალექსიშვილმა, ოზურგეთის თეატრის დირექტორმა ბ. ნაკაიძემ და სხვ.

10 წლის შემდეგ (13. V. 1968) უკვე მშობლიურ ქალაქში ჩატარდა ა-ს დაბადების 50 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავი.

ლიტ.: ჭეიშვილი ჯ., „დაჭრილი არწივი", გ. „სკომი", 1. IV. 1958; ანთელიძე ი., მახარაძის სახელმწიფო თეატრის მსახიობების ა. ანდღულაძის და ვ. დოლიძის შემოქმედებითი საღამო ქ. თბილისში, გ. „ლენინის დროშა", 4. IV. 1958; შეკრებანაძე ე., რევოლუციური პათოსით გაჟღენთილი სპექტაკლი, იქვე, 12. V. 1966; სიმონიშვილი ლ., შეკრებანაძე ე., ანა ფრანკის ახალი სიცოცხლე, იქვე, 8. V. 1966; გოლიაძე მ., კუკულავა ქ., ანა ანდღულაძის შემოქმედებითი საღამო, გ. „კრიმანჭული", 2001, №6; ჩხარტიშვილი ლ., ოზურგეთის თეატრი 150, თბ. 2018.

არობელიძე ილია ნესტორის ძე



არობელიძე ილია ნესტორის ძე (6.III.1918, ოზურგეთის რ-ის სოფ. ბახვი — 8.I.2008, ოზურგეთი) — მსახიობი, რეჟისორი. საქ. დამს. არტ. (1966).

ოზურგეთშივე დამთავრა საშუალო სკოლა 1937 და მომდევნო წელს აქვე, სახელმწიფო თეატრში დაიწყო მუშაობა მსახიობად. 1939 თბილისის კინოსტუდიის სამსახიობო სკოლაში გაგრძელა სწავლა, მაგრამ, სამწუხაროდ, II მსოფლიო ომი დაიწყო თუ არა (1941), სკოლაც დაიხურა და ა. დაუბრუნდა ოზურგეთის თეატრს, სადაც 1966-მდე მოღვაწეობდა. 1967—70 იყო ოზურგეთის რ-ის კულტურის სახლებისა და დრამწრეების ხელმძღვანელი, 1972—73 — თბილ. თოჯინების ქართული თეატრის მსახიობი, 1980—91 — ჩოხატაურის სახალხო თეატრის რეჟისორი. ოზურგეთის თეატრში შესრულა მრავალი საინტერესო როლი, რომლებშიც ნათლად გამოიკვეთა მისი აქტიორული ინდივიდუალობა, შთამბეჭდავი პოტენციური შესაძლებლობანი. განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა სპექტაკლში — გრ. ბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი", რომელიც ორი რედაქციით დადგა: I — 1958, რეჟ. გრ. ლაღიძე, II — 1966, რეჟ. გურ. აბესაძე). სხვა როლები: ბახა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი"), ბახვა ფულავა (გ. წერეთლის „პირველი ნამბავი"), სიმონ ლიონიძე (დ. ერისთავის „სამშობლო"), აპრაკუნე (ი. ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი"), ბეკინა (დ. კლდიაშვილის „სამნიშვილის დედინაცვალი"), ონისე (ალ. ყაზბეგის „ხევი-სბერი გოჩა"), პლატონ კრეჩეტი (ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი"), პასტორი მანდერსი (იბსენის „მოჩვენ-ებანი"), ნიკოლა (ა. ცაგარლის „ციმბირელი"), ჩუბინა (მ. ჯაფარიძის „ყამთაბერის ასული"), ბარათა (ვ. კანდელაკის „მია წყნეთელი") და სხვ.

ოზურგეთის თეატრში მუშაობისას, ა. რამდენჯერმე იქნა მიწვეული მეზობელ ჩოხატაურში, სადაც, როგორც რეჟისორმა, იმდენად საინტერესო დადგმები განახორციელა, რომ 1980 საერთოდ გადავიდა ჩოხატაურში და უკვე რეჟისორის ამპლუაში გაგრძელა ფრიად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა. სწორედ მისი თავკაცობით ჩოხატაურის თეატრის სპექტაკლმა (გ. ბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი", 1981) სრულიად დამსახურებულად მოიპოვა ლაურეატის წოდება და I ხარისხის დიპლომი ჯერ რესპუბლიკურ, შემდეგ კი ე.წ. „საკავშირო ფესტივალზე" (ანუ მთელი ყოფილ საბჭოთა კავშირის მასშტაბით), რაც იმდროისთვის უმაღლესი საპატიო წოდება გახლდათ, მაგრამ ეს სულაც არ იყო რაღაც გამონაკლისი და სწორედ ამით არის საინტერესო ა-ის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ჩოხატაურში მოღვაწეობის პერიოდი. სხვა ცნობილი დადგმებია: ალ. ჩხაიძის „დაბრუნება" (1978), ა. სამსონიას „ჩემი შვილი სიმონი" (1980), ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს" (1986), შ. შამანაძის „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში" (1989) და მრავალი სხვ.

ამ სპექტაკლებზე საუბრისას, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას — თავდაპირველად, ბევრისთვის მოულოდნელი და, გაუგებარიც იყო ის შემოქმედებითი სითამამე, რომელიც ა-ემ გამოიჩინა ცალკეული სპექტაკლების აქტიორული დასის დასაკომპლექტებლად (ამოდ არ ჩაუვლია იმ ნუბარ დღეებს, როცა იგი თბილისის კინოსტუდიაში მუშაობდა გამოჩენილი კინორეჟისორის — სიკო დოლიძის ასისტენტად). დაუჯერებელი, მაგრამ ფაქტია, რომ ა-ემ ფართოდ გაუღო თეატრის კარი სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ენთუზიასტებს, რაც იმდროისთვის უჩვეულო იყო თეატრალურ სამყაროში. ცხადია, მათთან მუშაობა კიდევ უფრო მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვდა, მაგრამ ამ თაოსნობას ისეთი პირი უჩანდა, მზად იყო ყველაფრისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ა-ემ არაოფიციალური, მაგრამ არსებითად სახელდახელო ექსპერიმენტული სტუდია-სახელოსნო გახსნა ჩოხატაურის თეატრში და თამამად მიიწვია ე. წ. არაპროფესიონალები, ვთქვათ, ფინანსისტი ჯემალ სიხარულიძე, სოფ. სამების საშუალო სკოლის პედაგოგი-ქიმიკოსი გიორგი კობალაძე, მისი აღსაზრდელი, მე-8 კლასის მოსწავლე — ჯამზულ ვაჩეიშვილი, რომელიც, როგორც პრესაში (გ. „კომუნიზმის განთიადი", 30.IV.1981) ითქვა, უნაკლო პარტნიორობას უწევდა სპექტაკლის მთ. გმირს — დათიკო შეკარდნაძეს (ოგულისხმება სპექტაკლი „დაჭრილი არწივი").

აქვე უნდა გავიხსენოთ ის ღვაწლიც, რაც ა-ეს მუძღვის ოზურგეთის რაიონში თოჯინების თეატრის აღორძინებისა და დამკვიდრების საქმეში. 1973—74 სათავეში ჩაუდგა თოჯინების თვითმოქმედ თეატრალურ კოლექტივს და ფონდ „ლია საზოგადოება საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით შექმნა მთელ რეგიონში გასამურებული სპექტაკლი „ბაჭა" (კ. გოგაშვილის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით, დადგმა — ლ. კვერნაძისა). მოგვიანებით, აქვე განხორციელდა 2001—2002 სეზონში ი. გოგებაშვილის უკვდავი „იანანამ რა ჰქნა", რომლის ინსცენირების ავტორი იყო ა.

ლიტ.: გოლიაძე მ., ქადეიშვილი ე., ტრადიცია გრძელდება (თოჯინების თეატრი მახარაძეში), გ. „ლენინის დროშა", 12.II.1974; მეგრელიძე გ., მახარაძელთა ორი სპექტაკლი, ჟ. „თეატრალური მიამბე", 1975, №3; იაშვილი ლ., იმედიანი დასწყისი (ალ. ჩხაიძის „დაბრუნება"), გ. „კომუნიზმის განთიადი", 2. XII. 1978; ჩვენი სახალხო თეატრი თბილისში, იქვე, 16.VI.81; ანთაძე ი., ახალგაზრდობა იმარჯვებს (ალ. ჩხაიძის „თავისუფალი თემა"), იქვე, 27.V.1982; მისივე, „ბებიამ გათხოვება მოისურვა", იქვე, 29.IX.1983; მისივე, „მზე ნეკერჩხლის ტყეში", იქვე, 21.VIII.1984; ჩხიკვაძე მ., „დღესასწაული ჩვენს სახლებში"), იქვე, 24.I.1984; ანთაძე ი., „მე ვხედავ მზეს" სახალხო თეატრის სცენაზე, იქვე, 21.VI.1986; შანიე თ., სცენაზეა ქალთა ცხოვრება (შ. შამანაძის „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში"), იქვე, 20.VI.1989; კრ. „სთ", 2008, გვ. 91; მოგონება, გ. „ვურის მიამბე", 21.I.2008; ჩხარტიშვილი ლ., ოზურგეთის თეატრი 150, თბ., 2018.

საგაზეთო მასალები მოამზადა ლია კილაძემ

გაზაფხული და ფუტკარი

საგაზაფხულო სამუშაოები საფუტკრეში

დადგა გაზაფხული და ფუტკრები გააქტიურდნენ, მეფუტკრეებმაც დროულად და გეგმიურად უნდა ითანამშრომლოთ ფუტკრებთან. პირველ რიგში, უნდა გავიგოთ, დათვალიერების დროს ვადგენთ საკვები მარაგის რაოდენობასა და ხარისხს, ხომ არ არის დაკრისტალებული. ასეთი თაფლი ფუტკრისათვის აუთვისებელ საკვებს წარმოადგენს.

ამ გაზაფხულს გურია-აჭარის რეგიონში აღინიშნა საკმაო რაოდენობის ჩაკრისტალებული თაფლი. სამწუხაროდ, არის ფუტკრის ოჯახების დანაკლისი. ოჯახებს დროულად უნდა ამოვაცალოთ დაკრისტალებული თაფლიანი ჩარჩოები და ჩავუდგათ სამარაგო თაფლიანი ჩარჩოები, ან ვკვებოთ ერთი-ერთზე დამზადებული შაქრის სიროფით, რომელიმე პრეპარატთან ერთად. დავიცვათ უსაფრთხოების წესები, არ მოხდეს ქურდობა. სუსტ ოჯახებს შევუმციროთ საფრენები. სასურველია კვება ვაწარმოოთ დღის მეორე ნახევარში.

ამგვარი მასიური ჩაკრისტალება გამოიწვია სუროს ყვავილობის პერიოდში, კერძოდ, სექტემბრის თვეში დიდი რაოდენობის თაფლის შემოტანამ, რომლის რეალიზაცია ფუტკარმა სრულად ვერ მოახდინა. კარგი ამინდის დროს, სუროს სუროს ყვავილობის პერიოდში ფუტკრის ოჯახები ძალიან აქტიურდებიან, სექტემბრის ბოლოს, უსაფრთხოების მიზნით, უნდა მივიღოთ სათანადო ზომები და სუროს თაფლი გამოვწუროთ, საჭიროების შემთხვევაში საზამთრო მარაგი შევავსოთ სიროფით 2/1 პროპორციით, უფრო სქელით, ვიდრე გაზაფხულზე.

გაზაფხულზე, ბუდის შედგენის დროს ჩაკრისტალებულ თაფლიან ჩარჩოებს ვახარისხებთ ორ კატეგორიად: პირველი – ძალიან ჩაკრისტალებული, თითქმის გაქვავებული, რაც ახასიათებს სუროს თაფლს (ოღონდ მას სამკურნალო მაღალი თვისებებიც აქვს). რა თქმა უნდა, ასეთ თაფლს ფუტკარი ვერ გამოიყენებს. ასეთ ფიჭებს ვუშვებთ არაყის გამოსახდელად; მეორე – მსუბუქი ფრომით ჩაკრისტალებული, მასში თაფლი ჯერ კიდევ რბილია, ცომისებურია

ასეთი ფიჭები შეგიძლიათ გადათალოთ და თბილ ამინდში ძლიერ ოჯახებს ჩაუდგათ ჩვეულებრივი მოხმარებისათვის.

გაზაფხულზე, როდესაც სკაში ბოლოსწინა ჩარჩოზე გამოჩნდება ბარტყი, უპირველესად აშენებული, ჩასაკვერცხად ვარგისი ფიჭებით, თანდათანობით უნდა მოხდეს ბუდის გაფართოება. რამდენიმე დღის თბილმა ამინდებმა არ უნდა წაგვახალისოს და ბუდეს უეცრად ნუ გავშლით (გავაფართოვებთ), რადგან შემდეგ, მკვეთრი აცივების შემთხვევაში, ფუტკარმა შეიძლება იგი ვერ დაფაროს და მოხდება ბარტყის გაცივება. ღალიანობის მატებისას ვაძლევთ კარგი ხარისხის საშენ ხელოვნურ ფიჭებს, დროულად ვაფართოვებთ ბუდეს, ფუტკარი არ მოცდეს და არ იფიქროს ბუნებრივ ნაყარზე.

გაზაფხულის პირველი ხილვის შემდეგ პროფილაქტიუკრ მკურნალობას ვაწარმოებთ, როცა გარემოს ტემპერატურა პლუს 12 გრადუსს გადააჭარბებს

ვარვატოზის საწინააღმდეგოდ ვიყენებთ შემდეგ პრეპარატებს: ეკოპოლს, ფუმისანს, ვარაკომს, მონაცვლეობით; სიდამპლეების საწინააღმდეგოდ კი – თიმოლს, ოქსიბაქტოციდს, ოქსივიტს, აპიმაქს და სხვ.

აღნიშნულ პრეპარატებზე ყოველთვის უნდა მოვახდინოთ დაკვირვება, რამდენად ეფექტიანი და საიმედოა ისინი ფუტკრისათვის.

მეფუტკრეობისა და სხვა აგრარული სამეურნეო პრეპარატებისათვის მიაკითხეთ ფერმერთა მომსახურების ცენტრ „ხელხვავს“.

ჯანვერდი ცეცხლაძე,
გურიის მეფუტკრეთა კავშირის
თავმჯდომარე.

მეექვსე დღის ქმნილება

„როგორც კი შექმნა ძაღლი, ძაღლმა ხელი გაულოკა ღმერთს. ღმერთმა კი ხელი მოუთათუნა ძაღლს.

- რა გინდა, შენ, ძაღლო?

– ჩემო ღმერთო, მე მსურს ვიცხოვრო შენს გვერდით, შენს კარებთან, ხალიჩაზე.

– ეს შეუძლებელია, რადგან მე არ მჭირდება ძაღლი, რადგან ჯერ კიდევ არ შემიქმნია ქურდები, –უპასუხა ღმერთმა.

– და როდის შექმნით მათ?

– არასოდეს, მე დავიღალე, მე უკვე ხუთი დღე ვიმუშავე და უკვე დროა, დავისვენო. მე უკვე შენ შეგქმენი. ჩემი საუკეთესო ნამუშევარი ხარ, შედევრი. დროა, შევჩერდე. მხატვარი უნდა შეჩერდეს, როცა არ არის შთაგონება. მე რომ გავაგრძელო შექმნა, რაც კარგია, განადგურდება. წადი , ძაღლო, დედამიწაზე და ბედნიერი იყავი.

ძაღლს ოხვრა აღმოხდა და ჰკითხა, რა ვქნა მე დედამიწაზეო? შენც რომ დასახლდე დედამიწაზე,* ღმერთო, არ შეიძლებაო? არაო, – უპასუხა ღმერთმა, – ეს გამორიცხულია, მე ვერ ვიცხოვრებ სიამოვნებისთვის! ცაზე ანგელოზებს და ვარსკვლავებს უნდა მივხედო.

ძაღლმა თავი ჩაღუნა და წავიდა, მაგრამ ისევ მობრუნდა:

– ღმერთო, შენ თუ არ წამოხვალ, გამიჩინე უფროსი.

– არა! - უთხრა ღმერთმა.

ძაღლი მოიკუნტა და აწკმუტუნდა:

– შენ რომ გინდოდეს, ღმერთო, ამას შეძლებდი!

– ეს შეუძლებელია, – თქვა ღმერთმა. – მე მოვრჩი, მე შენზე უკეთესს ვერაფერს შევქმნი.

– ღმერთო, შექმენი ისეთი რამ, რომლის უკან სიარულს შევძლებ და მის ფეხთან წოლას.

ღმერთს მოეწონა ძაღლის სიკეთე და უთხრა: წადით მშვიდობით, იყოს ნება შენიო და შექმნა ადამიანი...“

რა თქმა უნდა, ადამიანი არ აღმოჩნდა სრულყოფილი, როგორც ღმერთი ვარაუდობდა, მაგრამ ძაღლი დარჩა კმაყოფილი.

სამწუხაროდ, დღეისთვის, ყოველგვარი იგავების გარეშე, მომწიფდა და ოი, როგორ მომწიფდა მთავარი საკითხი: შეიძლება კი იყოს კმაყოფილი ჩვენ მიერ ქუჩაში გაგდებული ძაღლები, ღმერთის მიერ, იმ ე.წ. ადამიანის შექმნით?

მახსენდება ბალტიისპირეთის ქალაქ რიგაში ჩემი ექსკურსია ცხოველთა ბაზარზე. მართალია, სიტყვა „ბაზარი“ კი არის ნახსენები, მაგრამ, ჩვენგან ძალიან დიდი განსხვავებით, იქ ფული მეორეხარისხოვანია. იმ ხალხისთვის ის ბაზრობა არის რიტუალური დღესასწაულის მსგავსი რამ.

დაბანილ-დავარცხნილი-გამშვენიერებული ცხოველები და ფრინველები თავიანთი მეპატრონეებით. ალბათ, ურთიერთკონკურენციაში მყოფნი, ამავე ცხოველთა და ფრინველთა ღირსეული არსებობისთვის. ანუ რა შეიძლება ნახოს უკეთესი ადამიანის თვალმა?

ხსენებულ „ბაზარში“ ვერ იყიდი ვერაფერს, ძაღლი იქნება ის თუ ლეკვიდან დაწყებულ, ნებისმიერი ცხოველი ან ფრინველი, ასე ვთქვათ, ტესტირების გავლის გარეშე. ისეთ ლექციას წაგიკითხავს ნებისმიერი ცხოველისა და ფრინველის პატრონი თავის „პირმშოზე“, რომ ნებისმიერ საღად მოაზროვნე ადამიანს დააფიქრებს – მართლა სჭირდება მას და მის ოჯახს ესა თუ ის ცხოველი და ფრინველი? შეძლებენ კი ისინი მათ მოვლა-პატრონობას? (ვინც საღად ვერ აზროვნებს, მასთან საერთოდ არ ლაპარაკობენ, რა რაოდენობის ფულიც უნდა შესთავაზონ!).

ახლა შევადაროთ ეს ყველაფერი უდიდესი კულტურის და განათლების პრეტენზიის მქონე საქართველოს. ნაყიდი იქნება, ნაჩუქარი თუ მოპარული , ძაღლი (ლეკვი) თავიანთი შვილებისა თუ მათი შვილების გასართობად უნდათ. არცოდნით, არასწორი კვებით თუ უაზრო ფერებით, (სანამ პატარა და ლამაზია), გაასულელებენ, დაასნეულებენ და შედეგ ქუჩაში აგდებენ!

თავშეყრის ადგილებში, ბაზრებში, კაფე-ბარებსა და რესტორნების მიდამოებში დავდივართ ძაღლების ფეკალიებში, რაც აღარავის აღარ აწუხებს, ანუ ცხოვრების წესად არის ქცეული. მეტიც, როცა ასევე ცხოვრების წესად არის ქცეული ოჯახების ქუჩაში გამოყრა, რომელთა ხარჯზე ბანკირები და ჩინოვნიკები მდიდრებიან. მსგავსი სიმახინჯის მომმენ საზოგადოებასთან ლაპარაკს აქვს რაიმე აზრი? საეჭვოა! როცა ძაღლს ვერ ვუვლით, უკეთესობისკენ რატომ გვაქვს პრეტენზია?

ასევე ქვეყანაში, სადაც საკმაოდ ხშირად საუბრობენ, რომ ხელისუფლებისა და ეკლესიის რეიტინგი „პლინტუსებზე“ დაბალია, ვისი ბრალეულობაა ამაში, ხელისუფლების თუ ეკლესიის? არც ერთის, არც მეორესი! ამ ე.წ. საზოგადოებიდან არიან წარდგენილი და ძალიანც რომ მოინდომონ, უკეთესი ვერ იქნებიან, რადგან უსაზღვროდ თავმომწონემ და ამპარტავანმა არ იცის ძაღლს როგორ მოექცეს და უკიდურეს სისასტიკეს იჩენს მის მიმართ!

ასე რომ, როცა ვსაუბრობთ კულტურაზე, უპირველესად, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ უკანასკნელის, ასე -ვათ , „სისხლში შეყვანაა“ საჭირო, ვინაიდან როგორც ჩვენი ტომის ისტორია გვიჩვენებს, კულტურა, რომელიც ჩვენ გვაქვს თავში, თეატრში და ცეკვა-თამაშში, არ დარჩა საკმარისი ჩვენს ღირსეულ ერად ჩამოყალიბებისთვის!

მოკლედ, დაგვათენდა თავზე! თავის მართლების რეჟიმში დარჩენა კი მომავლის ღალატია.

რა ვქნათ? დაველოდოთ ბიბლიური მოსეს გამოჩენას თუ სიმართლეს და რეალობას შევხედოთ თვალებში? ჩემი აზრით, უმჯობესი მეორე ვარიანტი იქნება, ვინაიდან მოსეს შეიძლება, შეავვიანდეს ან საერთოდ არ მოვიდეს...

გრამიტო (გერმანე) მამინაშვილი

იყიდება:

– ანასეულში, იმედაშვილის ქუჩაზე იყიდება სახლი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით, ფასი – 7 ათასი დოლარი;

– ურეკში 500კვ მ მიწის ნაკვეთი, 1 კვ-ს ფასი – 120 დოლარი;

– ურეკში 500კვ მ მიწის ნაკვეთი, 1 კვ-ს ფასი – 35 დოლარი;

–ოზურგეთი-ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 500 მეტრში 9100 კვ მიწის ნაკვეთი, 1 კვ მ-ს ფასი – 2 დოლარი.

– ლეკიანში, „ბლეკსი არენასთან“, ზღვიდან 180 მეტრში 1600 კვ მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 1 კვ 50 დოლარი.

– 2200 კვ მ მიწის ნაკვეთი კვირიკეთში, ფასი 7 000 დოლარი.

იკითხეთ შრომის ბირჟაზე, რკინიგზის სადგური, I სართული, ტელეფონი 599 58 75 32.

სამგლოვიარო განცხადებები

ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლის 1972 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან **რუსუდან მახარაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.



გარდაიცვალა შეიარაღებული ძალებისა და ომის ვეტერანი, პოლკოვნიკი **ბადრი მახარაძე.** პანაშვიდი - პარასკევს,20 მარტს, დაკრძალვა შედგა - შაბათს, 21 მარტს, სოფელ ცხემლისხიდში (ოზურგეთი)

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ელიკო თავდუმაძის ოჯახი იუწყება **ნუკრი მენაბდის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ჯემალ, მიშა, კობა დობორჯგინიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან **მადლენა ბიჭიკოს ასული ანდღულაძე- ქუტიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მოგესალმებით და მოგილოცავთ თეატრის საერთაშორისო დღეს - 27 მარტს! თეატრი, ეს მშვენიერი და მომხიბვლელი სამყარო, საუკუნეების წინ იღებს სათავეს. სასცენო ხელოვნებამ თავისი არსებობის განმავლობაში მრავალი ცვლილება განიცადა, მაგრამ შეინარჩუნა მთავარი - მუდამ აღტაცებაში და განცვიფრებაში ჰყავდეს მაყურებელი. ხელოვნების დარგებიდან თეატრის ყველაზე გასაგებ, მისაწვდომ ენაზე საუბრობსა, ადამიანების სულიერ ფორმირებაში უდიდეს როლს თამაშობს.

თეატრმა გააერთიანა და დააკავშირა ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნის ხელოვანები. ამის დასტურია საერთაშორისო ფესტივალები. ამ ფერხულში გურიაც არის ჩართული. ჩოხატაურის 135- წლიანი სახალხო თეატრიც, ისევე როგორც ლანჩხუთის სახალხო თეატრს თავისი ნიშა აქვს. ოზურგეთის თეატრმა ხომ რამდენჯერმე გვასახელ საერთაშორისო თეატრალურ ფორუმებზე.

კიდევ ერთხელ ვულოცავ თეატრალურ მოღვაწეებს თეატრის საერთაშორისო დღეს და მრავალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ.

პატივისცემით,
ირაკლი კუჭავა
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი

სრულიად თეატრალურ საზოგადოებას ვულოცავ თეატრის საერთაშორისო დღეს, 27 -მარტს. ამ თარიღი არნიშვნას მომავალ წელს 60 წელი უსრულდება. ამ დღეს დღესასწაულობს სხვადასხვა ქვეყნის როგორც თეატრის მოღვაწეები, ასევე ხელოვნების ამ დარგის გულშემატკივართა მთელი არმია. თეატრს აქვს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება - რეალობის უნიკალური განცდა. იგი ცოცხალი ორგანიზმია, პასუხობს აწმყოს და ორიენტირებულია მომავალზე.

ვისურვებდი, რომ ამ დარგის თითოეული წარმომადგენელი იყოს შემოქმედებითად დატვირთული. მათი აქტიურობა და წარმატება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, საზოგადოების დანარჩენი ნაწილისათვის.

პატივისცემით
მარიკა შოშაშვილი,
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დირექტორი.

, თეატრის მოღვაწეებს გილოცავთ თეატრის საერთაშორისო დღეს და გისურვებთ მრავალი საუკეთესო სპექტაკლების განხორციელებას. გურიის რეგიონის თეატრებს კი ვუსურვებ კიდევ ბევრჯერ გაახარონ მაყურებელი, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

თემურ კოროშინაძე
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სასახლის დირექტორი

გილოცავთ თეატრის საერთაშორისო დღეს და გისურვებთ ნაყოფიერ შემოქმედებით წელს! თეატრი არის კულტურა, საზოგადოების განვითარების ყველაზე კარგი მაჩვენებელი, რომელსაც დიდი ძალა აქვს და დიდ როლს თამაშობს ადამიანის განვითარებაში.

მოვიშველიებ დიდი ილიას სიტყვებს: „თეატრი, ეს წმინდა ტაძარია, სადაც იცინიან, სტირიან კიდეც, მხოლოდ იმიტომ, რომ განიწმინდონ ავისა და ბიწისაგან, სადაც ორივე ცრემლი, სიხარულისაც და მწუხარებისაც, უკვდავების წმინდა წყაროდან მომდინარეობს ჩვენს გასაადამიანებლად და გასაკეთილშობილებლად.“

თეა მამალაძე,
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე.

ირაკლი გორდელაძე



ჩოხატაურის სახალხო თეატრში, სხვადასხვა პერიოდში, მრავალ გამოჩენილ ხელოვანებს უმოღვაწეიათ. მათ შორის იყო მხატვარი ირაკლი გორდელაძე. ხელოვნებისადმი სიყვარული მას ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს მშობლებმა. მამა ბორია გორდელაძე ლიტერატურულ -ჟურნალისტურ და საგამომცემლო მოღვაწეობას ეწეოდა. წლების მანძილზე იყო ხელოვნების სამმართველოს უფროსი. დედა ოლღა დადიანი უაღრესად განათლებული ქალი ყოფილა.

ბორია გორდელაძის ოჯახში ხშირად იკრიბებოდა ხელოვნების იეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, შოთა აღსაბაძე, ემანუილ აფხაიძე, ლევან ასათიანი, სტეფანე ჯაფარიძე, დიმიტრი ალექსიძე, ირაკლი გამრეკელი და სხვ. ეს ოჯახი ხელოვანთა ნავსაყუდელს წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, ასეთმა ოჯახურმა ატმოსფერომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ირაკლი გორდელაძის, როგორც შემოქმედის ჩამოყალიბებაში.

ხატვისადმი მიდრეკილება მხატვარმა ადრეულ ასაკში გამამჟღავნა. იგი 14 წლის იყო, როდესაც მისი ნახატები ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაიბეჭდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1937 წელს, ხელოვნების მუშაკთა სახლში ახალბედა მხატვარმა 80 ხალისიანი იუმორით აღსავსე მეგობრული შარჟი წარმოადგინა. განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია -ვერიკო ანჯაფარიძის, აკაკი ხორავას, ნატო ვაჩნაძის, ტიციან ტაბიძის, მიხეილ ჭიაურელის და სხვა მეგობრულმა შარჟებმა. გამოფენა რამდენიმე თვე გაგრძელდა, ამ გამოფენამ ნიჭიერ ყმაწვილს პოპულარობა მოუტანა, მაგრამ ეს სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა, იმ ავადსახსენებელ პერიოდში ირაკლი გორდელაძეს ჯერ მამა გადაუსახლეს, ხოლო შემდეგ - დედა.

ბედის ანაბარად მიტოვებული ჭაბუკი ნათესავებმა შეიკედლეს. რაც შეეხება მის მეგობრულ შარჟებს, ზოგი მათგანი დაწვეს, ნაწილი კი ახალგაზრდა მწერალმა პაპუნა წერეთელმა ფურცელ-ფურცელ გადაარჩინა და კარგა ხნის შემდეგ შესანახად თეატრის, მუსიკისა და კინოს მუზეუმს გადასცა. სკოლის დამთავრების შემდეგ, რომელიც ომის მძიმე წლებს დაემთხვა, ირაკლი გორდელაძე ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთში, პაპისეულ ოჯახში იმყოფებოდა, სადაც ნიჭიერ ახალგაზრდებთან ერთად დრამატული წრე შექმნა.

ომის დუხჭირ წლებში ჩოხატაურის სახელმწიფო თეატრი მძიმე პირობებში იყოფებოდა. თეატრს მოუხსნეს დოტაცია, ჯარში გაიწვიეს თეატრის მთავარი რეჟისორი მიხეილ ჯალაღანია და 16 მსახიობი. თეატრს სათავეში ჩაუდგა ჯალაღანიას მეუღლე ნაზი კეჭაყმაძე. რომელმაც შესაშური ენერგიისა და საქმისადმი სიყვარულისად ერთგულების წყალობით შესანიშნავად გაართვა თავი თეატრის ხელმძღვანელობის საპასუხისმგებლო მოვალეობას.

სწორედ ამ დროს ჩარიცხეს თეატრის დასში ირაკლი გორდელაძე, რომელმაც ჩოხატაურის თეატრში 5 წლის ნაყოფიერი მუშაობის მანძილზე, ოცი სხვადასხვა ხასიათის საინტერესო როლი განასახიერა და ყველა ეს სპექტაკლი მის მიერ იყო მხატვრულად გაფორმებული.

პირველი სპექტაკლი, რომელშიც ირაკლი გორდელაძე მონაწილეობდა ვ. გუნიას „და-ძმა“ იყო, სადაც მან გაითო ფაღავას როლი შესრულა. ამას მოჰყვა შემდეგი როლები: სერგო – რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს,“ კარაპეტ დაბაღოვის – გ. ერისთავის „ძუნწი,“ გერმანელი ოფიცერი – გ. გაბუნიას „საბჭოთა კავშირის გმირი,“ აკოფა – -ა. ცაგარელის „ხანუმა“ და სხვ. ირაკლი გორდელაძის განსახიერებული როლი, მართალი, ლაღი და ბუნებრივი იყო. მაყურებელი ყოველთვის ოვაციით ხვდებოდა სცენაზე მის გამოჩენას.

ნიჭიერი ახალგაზრდა თავისი მდიდარი ფანტაზიით, შთამბეჭდავ და საინტერესო სცენურ გარემოს ქმნიდა. მის მიერ გაზრებულად და მაღალი გემოვნებით გაფორმებულ სცენაზე მსახიობები ყოველთვის ლაღად გრძობდნენ თავს.

1944 წელს თბილისში ჩატარდა რესპუბლიკის პერიფერიული თეატრების დათვალიერება, სადაც ჩოხატაურის თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლები: გ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“ და გ. გელბაქიანის „შესაფერი ჯილდო.“ სპექტაკლებმა ჟიურისა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: აკაკი ხორავა, ვიქტორ ნინიძე და შალვა აფხაიძე. მათი ერთობლივი გადაწყვეტილებით ირაკლი გოდელაძეს, როგორც მახიობსა და მხატვარს მიენიჭა პირველი კატეგორია.

1947 წელ ირაკლი გორდელაძემ ჩაბარა სამხატვრო აკადემიაში (გრაფიკის ფაკულტეტზე). პლაკატის რთული და სპეციფიკური ჟანრი იქცა მისი შემოქმედებითი ინტერესის ძირითად სფეროდ. თუმცა გრაფიკული ხელოვნების სხვა მიმართულებებშიც ნაყოფიერად მუშაობდა. სამხატვრო აკადემიაში სწავლას, ხშირად მონაწილეობდა სტუდენტთა გამოფენებში, სადაც მისი ნამუშევრები სპეციალისტების დიდ მოწონებას იმსახურებდა. ნიჭიერმა სტუდენტმა პლაკატის მთელი სერია შექმნა.

მისი პირველი აფიშა, რომლი გაკეთება შესთავაზა კინორეჟისორმა დავით რონდელმა იყო ფილმი „მამლუქი,“ ამას მოჰყვა ფილმები: „ორი ოჯახი,“ „მაია წყნეთელი,“ „დიდი მწვანე ველი,“ „კარდაკარ“ და სხვ. ირაკლი გორდელაძემ შექმნა ოპერის სარეკლამო პლაკატები: „არსენა,“ ბალეტისთვის „დემონი“ და „ოტელო,“ რომელშიც მთავარ მოქმე გმირს ლეგენდარული ვახტანგ ჭაბუკიანი ასრულებდა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

23 მარტი	24 მარტი	25 მარტი	26 მარტი	27 მარტი	28 მარტი	29 მარტი
მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	წვიმა	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	წვიმა
+5+17	+5+16	+6+17	+9+18	+8+19	+8+20	+6+13
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა